ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

დადგენილება N4

9 იანვარი 2023 წელი

დ.ხარაგაული 56-00

9 აპრილის ქუჩა #15

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N 14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N 14 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი 17/07/2014 სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.128.016159). შ ე ტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1.დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ,დ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:“

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„3. კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევა და გადარჩევა ხდება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 37-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტისა და საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 26-ე, 102-ე და 103-ე მუხლებით დადგენილი წესით.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

დავით კიკნაძე